137
1938

ოქტომბრელი

39



137-38

1938 წ. № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 1
იანვარი
1938 წ.

საქ. კ. პ. (ბ) ცკ. კ-ის ბაზ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. ბანსახკომის ერთთვიური ორგანო

შინაარსი

1. გიორგი ჟუჩიშვილი, — გივის ნატვრა (ლექსი) 1
2. ლავრ. ჭიჭინაძე, — ცოგაობის ბრალია (მოთხრობა) 2
3. ლადო გეგეჭკორი, — თინიკოს ნატვრა (მოთხრობა) 4
4. შალვა თაგუკაშვილი, — ნაძვის ხე (ლექსი) 6
5. გიორგი ალანდაძე, — თამაზის ავტო (ლექსი) 7
6. სანდრო ფლენტი, — ფიფქები (ლექსი) 7
7. როდიონ ძორძია, — გემრიელი ექიმი (მოთხრობა) 8
8. სიმონ ძვარიანი, — პატარა ცირას (ლექსი) 10
9. მარიჯან, — სამი გოჭი (ზღაპარი, თარგმანი) 10
10. ლევან ანანიაშვილი, — ბურთაობა (ლექსი) 13
11. შ. ფარცხნალელი — გულადი გია (მოთხრობა) 14
12. ვახტ. პეტრიაშვილი, — ზამთარი (ლექსი) 16
13. ნინო ნაკაშიძე, — ვინ ირჩია ძაღლმა (ზღაპარი) 17
14. ნუნუ თარხნიშვილი, — ნაძვის ხე (ლექსი) 18
15. დავით შამათავა, — ხალხის საყვარელი პოეტი (წერილი) 19

ბავშვთა შემოქმედება

16. ვ. კირაკოზოვი, — რუსთაველისადმი (ლექსი) . . . . . გარეკანის მე-2 გვ.
17. ვ. კანდელაკი, — ნაძვის ხე (ლექსი) . . . . . გარეკანის მე-3 გვ.
18. ფრიადოსნები, — ფოტო-სურათები . . . . . გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ივ. ჯაფოშვილის მიერ.

პ/მგ. რედაქტორის მაგიერ ლ. ჭიჭინაძე

გადაეცა წარმოებას 22/XII-1937 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/I ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¼×14

მთ. № 339 ტირ. 9.900 შეკვ. № 169 საქ. კ.პ.(ბ) ც. კ. გამ. „კომუნისტის“ სტამბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3372

გიორგი ქუჩიშვილი

გივის ნაფვრა

გ ი ვ ი

— მამი, მამი! როგორ მინდა,
მეც რომ ვიყო შენოდენა! —
ნატრობს გივი და ფანჯრიდან
თვალს აყოლებს ხალხის დენას.

მ ა მ ა

— რისთვის, ჩემო ენატკბილო?

გ ი ვ ი

— რომ საბჭოთა არჩევნებში
არც მე დავრჩე უნაწილოდ!

მ ა მ ა

— ვთქვათ, სურვილი აგისრულდა,
ხმას ვის მისცემ შვილო გივი?

გ ი ვ ი

— მას, ვინც ჩვენზე ზრუნავს მუდამ,
ვინც უწამლა ქვეყნის ტკივილს!

მ ა მ ა

— ვის გულისხმობ?

გ ი ვ ი

— ვინც გულს გვითბობს ყველგან ყველას:
უსაყვარლეს ხალხის ბელადს!

მ ა მ ა

— კიდევ?

გ ი ვ ი

— ჩვენ ბერიას — მოამაგეს,
პოეტების ჩანგით ნაქებს!

მ ა მ ა

— ვაშა, ჩემო თვალის ჩინო!
მომწონს შენი არჩევანი!
ჩემთან ერთად იქ ამ სიას
ხმას აძლევენ ყველგან სხვანიც!

საქართველოს სსრ ... თბილისი ... ბიბლიოთეკა

ლევრ. ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტის ბოლოს

ყინვებმა და თოვლის მოსვლამ ძალიან გაახარა პატარა ვალოდია, მთელი დღე შინ აღარ შედიოდა, დარბოდა გარეთ, გუნდაობდა, ციგაობდა.

— საშინელი სიცივეა... რაც სკოლიდან მოვიდა, ბავშვს შინ აღარ შემოუხედია, ყინვაა, ამდენი თამაში როგორ შეიძლება, — თქვა ილია ულიანოვმა.

— არა უშავს. ბავშვია... ბავშვი თამაშში იზრდება, — გამოექომაგა დედა ვალოდიას.

შინ ვალოდიაზე ლაპარაკობდნენ, თვით პატარა ვალოდია კი გორაკზე ასულიყო, ირგვლივ ტოლი ბავშვები ეხვია. რაღაც ჩოჩქოლი იყო, ერთმანეთს რაღაცაზე ედავებოდნენ.

მსუსხავი სიცივე მწარედ იკბინებოდა. ვალოდიას წითლად უპრიალებდა სახე. შარვალი მუხლებამდის ჰქონდა შეყინული. სისხლივით გაწითლებულ ხელში ყინულებზე ცურვით გახეხილი ციგა ეჭირა. თვალებს ცელქად ატრიალებდა ვალოდია ულიანოვი.

— ბიჭებო, მორიგეობით დავცურდეთ, თორემ ერთმანეთს დავეჯახებით, — გააფრთხილა ვალოდიამ ამხანაგები.

— პირველად ვინ დაცურდეს? — დაიძახა რომელიღაცამ.

— ვინც მარჯვეა, — უპასუხა ვალოდიამ.

— ვინ არის მარჯვე?

— ვალოდია... ეს რომ ჩვენს შემდეგ დაცურდეს, დაგვამტვრევს, — იხუმრა ერთმა ბიჭმა.

ვალოდიამ გაიცინა, ციგა თოვლზე დააგდო და თვითონაც ზედ შემოსკუპდა. ვალოდია ზემოდან ტყვიასავით დაეშვა ციგით. თოვლის მშრალი ფხვნილი კორიანტელივით რჩებოდა უკან. ციგა შორს წავიდა, კვლავ სწრაფად მიცურავდა. ციგაზე დასკუპული ვალოდია წერტილივითლა მოჩანდა. ბიჭები ისევ გორაკზე იდგნენ და ხარხარებდნენ. ვალოდია ისე შორს იყო, რომ აღარ ესმოდა ამხანაგების ხარხარი და ყიჟინა.

* * *

სიც იყო ბნელდებოდა, ვალოდია რომ მივიდა შინ. ციგა თავის ადგილზე შეინახა. თოვლიანი ფეხები დიდხანს აბრახუნა, მაგრამ თოვლი მაინც არ შორდებოდა, მერე ცოცხი გამოიტანა, თუმცა ვერც ამით მოიშორა შემოსხივებული თოვლი. ფეხების ბრახუნზე დედა გამოვიდა და სახეაწითლებული შვილი რომ დაინახა, გაცეცდა:

— ვალოდია, შვილო, ამდენხანს თოვლში ყოფნა როგორ შეიძლება. ავად რომ გახდე, ვინღა გიშველის?

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მამა, უცებ თქვა ვალოდიამ და მამას გადახედა თანაც ფიქრობდა, თუ გაჯავრებულია ამ სიტყვებით შევირიგებო.

ილია ულიანოვს ამ სიტყვაზე მართლა გაეცინა.

— განა ჩემი იმედით ციგაობდი? — ღიმილითვე შეეკითხა მამა.

დედამ ვალოდია მაშინვე არ მიუშვა ცეცხლთან, ხელების ფხანა აუტყდებაო. მან ბავშვის გაყინული ხელები უბეში ჩაიწყო, იკრავდა მკერდში, ალერსით თავზე უსვამდა ხელებს და ტკბილად ემუსაიფებოდა:

— შვილო, ამდენხანს რომ იციგავე, მარტო იყავი, თუ სხვებიც იყვნენ?

— სხვებიც იყვნენ, ბევრი ვიყავით.

— გაჯობეს, თუ აჯობე?

— მე ვინ მაჯობებდა, ყველას გავასწარი.

დედა გულში იკრავდა პატარა ვალოდიას და თვალებში უცქეროდა. მათ ლაპარაკში კარგახანი გავიდა. ბავშვის გაციებული ხელები დედის უბეში ჩათბა, დაუამდა. აღარც შარვალსა და ფეხსაცმელებზე იყო თოვლი, ხოლო მის თეხებთან, იატაკზე იდგა წყალი. სითბოსაგან ხელფეხდაამებული ვალოდია ცეცხლთან მივიდა. გაიხადა ფეხი და ორთქლი ასდიოდა.

— ვალოდია, — მიმართა დედამ თავის ოქროსთმიან შვილს, — ბეკეკაზე რომ ლექსი იცოდი, დაგავიწყდა?

ბავშვმა დედას შეხედა, უხმოდ უცქეროდა და გაბადრულ სახეზე ღიმილი უთამაშებდა. ალბათ, ფიქრობდა: მე ახლა გიმნაზიელი ვარ და რაღა დროს ბებიას ბეკეკა არისო.

— ეჰ, ვალოდიას აღარ ახსოვს ბებიას საწყალი ნაცარა ბეკეკა, — განგებ ჩაილაპარაკა მამამ, რომ ვალოდიას მოეკრა ყური.

— როგორ არ მახსოვს, ვთქვა?

— აბა, ისე თუ იტყვი, რომ არ შეგეშლება, — წააქეზეს მშობლებმა.

— ვიტყვი, — მედგრად თქვა ვალოდიამ და დაიწყო სიმღერით.

მშობლები იცინოდნენ და აქებდნენ:

— ცოდნია, ცოდნიაო!

მათ გვიან დაიძინეს. ციგაობით დაქანცულ ვალოდიას მაგრად ჩაეძინა. დილით გვიან გაიღვიძა, თავზე დასთენებოდა. მან გაახილა თვალი. ოთახში კარგი სინათლე იყო. ოქროსფერი თმა მაღალ შუბლზე ჩამოჰშლოდა. იგი უცებ წამოხტა და სწრაფად ჩაიცვა.

— დღეს ხომ დაგაგვიანდება სკოლაში? — მიმართა დედამ.

— სირბილით წავალ და მაინც ადრე მივალ, — უპასუხა ვალოდიამ და სკოლისაკენ გაექანა.

სკოლაში რომ მივიდა, უკვე გვიან იყო, და მასწავლებელმა შენიშვნა მისცა. ვალოდიამ უხერხულად იგრძნო თავი და თავისთვის თქვა: „ციგაობის ბრალია. იქ ვაჯობე ამხანაგებს, მაგრამ აქ შენიშვნა მივიღე. აწი აღარ ვიციგავებ“.

ლადო გეგეჭკორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინიკოს ნაკვრა

ოუთმენლად ელოდა პატარა თინიკო გორის ექსკურსიას, უნდოდა ენახა ის ქალაქი და ის სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ხალხთა ბელადმა, დიდმა სტალინმა.

ნატვრაც მალე აუსრულდა. მასწავლებელმა გამოაცხადა:

— ხვალ, დილის 7 საათზე, სადგურზე მოგროვდით, გორს უნდა წავიდეთო.

თინიკო სიხარულისაგან ცას ეწია. მთელი ღამე შფოთავდა. ჯერ ისევ ბნელოდა, როცა ადგა და წასვლა მოინდომა. მშობლები არწმუნებდნენ ადრეაო, მაგრამ არ დაიჯერა, დაავლო ხელი საგზალს და გზას გაუდგა.

თბილისის ქუჩებში სიჩუმე იდგა. აქა-იქ ქუჩებს ასუფთაებდნენ.

ნახევარ საათში მთელი კლასი მოგროვდა. ერთობოდნენ, მხიარულობდნენ, კისკისობდნენ, ერთმანეთს შაირებში ეჯიბრებოდნენ.

აი, მატარებელი დაიძრა... მიქრის მატარებელი, შეშინებულებივით გარბიან ხეები, ბოძები...

ბავშვებმა შორიდანვე დაინახეს გორის ციხე. მის ხუთქიმიან ვარსკვლავს მზე წითლად აელვარებდა.

— რა ამაყად გამოიყურება მასწავლებელო, ეს ციხე! — უთხრეს ბავშვებმა.

— დიდი იყო, — დაიწყო მასწავლებელმა, — მას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუვალი კლდე ყოფილა, მტრის დასამარცხებლად ხელსაყრელი ადგილი. ამიტომ არის გორის ციხეზე მრავალი ლეგენდა ხალხში შექმნილი. მრავალჯერ იხსნა გორის ციხემ საქართველო მტრებისაგან. გორი იყო ქართლის გული და მას ხალხი თვალისჩინივით უვლიდა.

სადგურიდან ბავშვები ფეხით გაემგზავრნენ. გაიარეს მტკვრის ხიდი, ლენინის პროსპექტზე მასწავლებელი შედგა. როცა მოწაფეებმა თავი მოიყარეს, მასწავლებელმა ისინი მარჯვნივ ორსართულიან შენობასთან მიიყვანა.

— აბა, თინიკო, ხმამაღლა წაიკითხე ეს წარწერა, — მიმართა მასწავლებელმა.

კითხულობს თინიკო:

— „აქ, ყოფილ სასულიერო სასწავლებელში, 1888 წლის 1-ლ სექტემბრიდან 1894 წლის 1 ივლისამდე სწავლობდა დიდი სტალინი“.

წაიკითხა თინიკომ და სიამოვნება იგრძნო. ბავშვებმა დაათვალიერეს შენობა. აქ ახლა გორის მეგაღლობა-მეგოსტნეობის და მემინდვრეობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმია. ერთ ოთახში სტალინის კუთხეა მოწყობილი. ბავშვებმა გამოიცვნეს სტალინი გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა შორის. გადაიკითხეს მოგონებები სტალინზე: „მეტად ცოცხალ და მკვირცხლ ამხანაგ სტალინს საოცარი სიდიხჯე ეტყობოდა მუშაობის დროს“, — ეწერა მოგონებებში, — „კლასიდან კლასში პირველ მოწაფედ გადადიოდა“.

„ამხანაგი იოსებ სტალინი სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს დიდ დახმარებას უწევდა, — კითხულობს ჩუმად თინიკო, — თვითონ აიყვანდა და სახლში ამეცადინებდა. ამის შემდეგ ჩამორჩენილები წარმატებით აბარებდნენ გამოცდებს“.



— მეც ასე უნდა მოვიქცე, აუცილებლად ავიყვან და წინ წავწევ ციალას, რეზოს, თენგიზსა და გიგლას. რა კარგია! ვიშრომებ და თავს ვისახელებ, — ფიქრობდა თინიკო, თან ყოველგვარ წვრილმანს გაფაციცებით ათვალიერებდა.

— გორი წინათ ჭუჭყიანი ქალაქი იყო, ჩამორჩენილი, ახლა კი, ამხ. ლ. ბერიას მითითებით, მას ამშვენიერებენ, — უთხრა ბავშვებს მასწავლებელმა, როცა ისინი პროსპექტზე გავიდნენ. — სანიმუშო ქალაქად უნდა იქცეს საყვარელი ბელადის სამშობლო.

ბავშვებს მოეწონათ მოასფალტებული პროსპექტი. ის ხეივანს წააგავს. ორივე მხრივ რაკრაკით ჩაუდის ფშანიდან გადმოყვანილი წყალი. მთელი ქუჩა ფერად-ფერადი ყვავილებით არის გამშვენიერებული.

მარჯვნით შეუხვიეს, აგერ დიდი სათეატრო მშენებლობა დაინახეს. თეატრს ყოველი მხრიდან ქუჩა ჩაუვლის. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი — და ისევ ახალი დიდი ორსართულიანი შენობა. ეს არის გორის სრ. საშ. სკოლა. კიდევ ცოტა — და აგერ სტალინის ქუჩაც. აგანიერებენ ამ ქუჩას, აასფალტირებენ.

თინიკო თანდათან უფრო ღელავს, გრძნობს, რომ მალე ძია სტალინის სახლსაც ნახავს. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და... უკვე გამოჩნდა ლამაზი პავილიონი, რომლითაც გადახურულია ის სახლი, სადაც დაიბადა საყვარელი ბელადი, ძია სტალინი. პავილიონის წინ და მარჯვნით ბაღია გაშენებული. იქვეა ახალი შენობა საჯარო ბიბლიოთეკისათვის.

ბავშვები შეტორტმანდნენ, თინიკო აღელდა, ყველა ძია სტალინის სახლისაკენ მიიწევდა. ყველას ეჩქარებოდა მისი ნახვა. აგერ კარებთან წარწერა, ბავშვები კითხულობენ:

„აქ 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა დიდი სტალინი, აქვე გაატარა მან თავისი ბავშვობა 1883 წლამდე“.

— ეს არის, რაც მინდოდა, ნატვრა ამისრულდა, — უთხრა თინიკომ რეზოს.

ბავშვები გაყვეს ჯგუფებად და ყველაფერი აჩვენეს.

უბრალო სახლი, ოროთახიანი, ღარიბული მორთულობა, დიდი, ძველებური ტახტი, ზედ ფარდაგი, ქეჩა, ორი მუთაქა, სკივრი, შუაში — სასადილო მაგიდა; მათ შუა კიდობანი; ყველაფერი ლამაზად არის დალაგებული. მეორე ოთახში პატარა მუზეუმია მოწყობილი. აქ თინიკომ ყურადღება მიაქცია ლენინისა და სტალინის ახალგაზრდობის დროის პორტრეტებს.

როცა პავილიონს მოშორდნენ, თინიკოს თავი სიზმარში ეგონა; მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ციხის აღმართს შეუდგნენ. აქ მასწავლებელმა დაწვოი-

ლებით მოუთხრა ბავშვებს ციხის ისტორია და ისიც, თუ 1920 წლის მიწისძვრამ როგორ დაანგრია გორი და მასთან ერთად ციხეც.

ამის შემდეგ ბავშვებმა ნახეს ლიახვზე გადებული ახალი ხიდი.

— ეს გზა, ამ ხიდზე რომ გადის, სამხრეთ-ოსეთის გზაა, ავტომობილები სტალინირში ამ გზით დადიან.

დასასვენებელ პარკში ბავშვებს შეეგებნენ საბავშვო ბაგის პაწიები. ბავშვებმა გაართეს უფროსი ამხანაგები; იმღერეს, ითამაშეს, იცეკვეს. ილომ გორის სახალხო თეატრისა და კ. კ. ორგანიზაციის ყოველთვიურ კედლის გაზეთთან მიიყვანა სტუმრები. აიღო სკამი, ზედ შედგა და წარმოთქვა გაზეთში მოთავსებული პეტროსიანის ლექსი, მიძღვნილი ილიასადმი.

სტუმრებმა ტაშით დააჯილდოვეს პაწია ილო. თინიკომ ის ხელში აიყვანა, მოეფერა, მიუალერსა და შინიდან წამოღებული ხაჭაპური შესთავაზა.

დიდი სტალინის სამშობლო ქალაქის დათვალიერების შემდეგ პატარა თინიკო და მისი მეგობრები აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ შინ.

შალვა თაბუკაშვილი

რა კარგია, რა კარგია!
ერთი შეხეთ, რა მომხდარა:
კოხტა გოგო პარაშუტით
ნაძვის ხიდან გადმომხტარა.

ის რა არის, კენწეროზე
ოქროსფერი რომ გასულა?
დედავ, დედავ, რაებს ვხედავ:
თევზი ხეზე სად ნახულა?!

აგერ სპილოც... ეგერ ავტო,
შიგ შოფერი ჩემი კბილა...
ამ სიმძიმეს როგორ უძლებს,
ეს ნაძვის ხე რა ყოფილა!

ოქროს მძივებს ოქროს კაცი
ერთიანად დაუბურავს...
აი ცელქი მაიმუნიც,
ჯოხი აქვს და ქუდი ჰხურავს.

ეგერ ფისო ცუგას უბღვერს
და ატეხენ აყალმაყალს,
იქით ციყვი ჩაცუცქულა,
შეექცევა ოქროს კაკალს.

კოხტა ნაძვის სიმწვანეში
ელექტრობაც ჩაბუდრულა
და გამოკრთის მის ტოტებში,
ვით ჩიტები ყვითელგულა...

რა კარგია, რა კარგია,
ერთი შეხეთ ამ ნაძვის ხეს!
ნუთუ ფრინველ-ცხოველები
ხის ტოტებმა გამოისხეს?!

ბავშვებს თავი მოუყრიათ
და ნაძვის ხეს დაჰხარიან,
ყურთასმენა აღარ არის,
კისკისი და ხარხარია...

ცელქობს, ანცობს, დაგიჟმაჟობს,
ფერხულს უვლის ბავშვთა წყება,
და წკრიალებს ნორჩი ხმები:
ძია სტალინს გამარჯვება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის კალანდაძე

თამაზის ავტო



რა კარგია, როგორ შვენის
შოფერობა თამაზს,
ეს რა ავტო უყიდია
ამ ბიჭისთვის მამას!
თამაზს უნდა მისი ავტო
მთელმა ქუჩამ ნახოს.
ჩამოდექით, გზა მიეცით,
ვერა ხედავთ, ხალხო?!
რა თამამად მართავს ბავშვი
ამ პრიალა ავტოს,
თითქოს დედა თან არ ახლდეს
და მოქროდეს მარტო.
აგერ მწვანე ხეივანი
ხვდება თაზოს ლხენით,
ქუჩის პირას ამართული
შრიალებენ ხენი.

გასცდა ხეებს და ნელნელა
დაექანა თავქვე,
აჰა, დიდი შადრევანიც
მოედანთან, აქვე.
აქ შხეფებიც თითქოს ჩუმად
ჩურჩულებენ ამას:
„რა ბიჭია, როგორ ჰშვენის
შოფერობა თამაზს".
თამაზს უნდა მისი ავტო
დღეს სულყველამ ნახოს.
ჩამოდექით, გზა მიეცით,
ვერა ხედავთ, ხალხო?!
რა ქნას, ჯერ თუ პატარაა
და ვერავინ ამჩნევს,
გაიზარდოს, ნახეთ, ბიჭი
რა ვაჟკაცი დარჩეს!

სანდრო ჭლენგი

ფიფქები

ცრის და თანდათან უმატებს ფიფქებს,
ცრის და ირევა თოვლის ფანტელი;
ჩვენ ეს სიცივე სულ არ გვაფიქრებს
და არც გვაშინებს კორიანტელი.

ცრის და მიდამო ირთვება თეთრად,
მართლა ზამთარიც ასეთი უნდა...
დღეს ვისრიალოთ სულყველამ ერთად,
ჰეი, ბიჭებო, ციგა და გუნდა!

ჩვენ ხომ სწავლაში გვაქვს ფრიადები
და ციგაობაც განა ძნელია?!

წავიდეთ ბარემ, ნუ ვგვიანდებით,
სალამოს ისევ შინ მიგველიან.

წავიდეთ გალმა, ყიჟინა ისმის
და გუნდაობაც გავმართოთ იქვე...
თოვაა ისე, თითქოს დგას ნისლი,
ცრის და უმატებს თანდათან ფიფქებს.

ცრას და ითოვოს, ითოვოს კიდევ,
თოვლი მოვიდეს ამაზე ბევრი;
თეთრად დაფარულ მთებსა და მინდვრებს,
ჰეი, ბიჭებო, ჰერი და ჰერი!

ანდიონ ქორქია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გემრიელი ექიმი

1.

ბინახავთ ექიმი, რომელსაც არც თვალი აქვს, არც ფეხი, არც ენა და არც ხელი?

ასეთი ექიმი კი არის...

გინახავთ ექიმი, რომელიც იჭმევა და გემრიელია? ასეთი ექიმი კი არის...

2.

ერთხელ ლეილას შეაცივა. ძიგძიგი დააწყებინა, ორი საბანი დაახურეს, ფეხები თბილად შეუხვიეს. ვერ უშველა. სულ კიოდა ლეილა:

—მცივა...ვაი, დედა, მოვკვდი! ვაი, დედა!

ცოტა ხხის შემდეგ ლეილას სიცხე მისცა. ახადეს საბნები, გაუშიშვლეს ფეხები, დაადეს ცივი ტილო. ვერ უშველა. სულ კიოდა ლეილა:

—ვიწვი... ვაი, დედა, მოვკვდი, დედა!

მოუყვანეს გემრიელი ექიმი—და მორჩა ლეილა.

3.

შოთას საჭმლის მადა დაეკარგა. არც გოჭის ხორცი ჭამა და არც ხაჭაპური, არც წვადი და არც სტაფილო. ჩამოხმა შოთა, დასუსტდა და ჭიდაობაც მიატოვა.

მოუყვანეს გემრიელი ექიმი—და შოთას მადაც მოუვიდა. იმდენი ჭამა, რომ სულ გამოცალა შკაფი, გოჭის ხორცი, ხაჭაპური, წვადი, ნამცხვარი, გოზინაყი, სტაფილო სულ შეჭამა შოთამ. ჭიდაობაც დაიწყო.

—ბიჭო, რა გაჭმევს ამდენს?—ეუბნებოდა დედა.—მუცელში ქვევრი ხომ არ გიდგას?

შოთა კი ილუკმებოდა, თან ამბობდა:

—რა კარგი რამ ყოფილა გემრიელი ექიმი!

4.

ბუხრანს ცხვირიდან ხშირად ჰქონდა სისხლის დენა. გაიქცეოდა მუხრანი მინდორში, გამოეკიდებოდა პეპლებს, დაიწყებდა ამხანაგებთან ბურთაობას, აირბენდა გორაკზე თუ ავიდოდა ვაშლზე, — წამოვიდოდა ცხვრიდან სისხლი. საწყალი მუხრანი პირღმა დაწვებოდა, ცივ ტილოს შუბლზე დაიდებდა და უცდიდა, სანამ სისხლის დენა შეწყდებოდა.

მოვიდა გემრიელი ექიმი—და მორჩა მუხრახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.

ნუცას დედა ავად გახდა. ქარები აწვალებდა.

— ოოხ, ვკვდები. — ოხრავდა ნუცას დედა-- მომკლა ამ ქარებმა... რად ღირს ჩემი სიცოცხლე! ნეტავი მოვკვდებოდე... ნუცას ლაპალუპით გადმოსდიოდა ცრემლები. დედა მაინც არ რჩებოდა.

მოვიდა გემრიელი ექიმი და მოარჩინა ნუცას დედა.

6.

კოტეს მამა ავად გახდა. კუჭი დაუსნეულდა. ექიმებმა ურჩიეს:

—ხორცი არ ჭამო, კვერცხი არ ჭამო, ხილი არ ჭამო... საწყალი კოტეს მამა იწვა, საჭმელს ნატრულობდა და კბილებს აკრაჭუნებდა. კოტეს ძალზე უყვარდა მამა და ტიროდა.

მოვიდა გემრიელი ექიმი და მოარჩინა კოტეს მამა.

7.

თინას ბებიას წყალმაკი გაუჩნდა. საცოდავი ბებია... ტანი რუმბივით გაუსივდა. არც ადგომა, არც დაჯდომა არ შეეძლო. თინას ძალზე უყვარდა ბებია, ეხვეოდა და იცრემლებოდა.

მოვიდა გემრიელი ექიმი—და მოარჩა თინას ბებია.

8.

ია სანდროს ტიფი დაეცა მართა. ყველანი შეშინდნენ, გადაგვედებაო, იფიქრეს და ია სანდრო საავადმყოფოში გაგზავნეს. — საშიშია. ვერ გადაიტანს. მოკვდება ია სანდრო, — ამბობდნენ მეზობლები.

მოვიდა გემრიელი ექიმი და მოარჩინა ია სანდრო.

9.

ოგორია გემრიელი ექიმი? რა ჰქვიან? საიდან მოვიდა, სად ცხოვრობს?

ის ათი მეტრის სიმაღლეა. მხარბეჭგანიერია. მარად მწვანე ფესი აქვს. ძალზე მციანაა. სიცივე რომ დაჰკრავს, ნაბადს წამოისხამს, ძაგრამ ისეთს ნაბადს კი არა, თქვენ ოომ გინახავთ. მას ლაქაშის ნაბადი უყვარს. თუ დიდი ყინვები დაიჭირა, ფეხებში ღუმელს ჩაიდგამს.

ის შორიდან ჩამოვიდა, ფლორიდიდან, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ახლა ცხოვრობს ქალაქ ფოთში, საბჭოთა მეურნეობა „გრეიფრუტში“, კოლხიდის ამოშრობილ ჭაობებზე. მას ჰქვიან გრეიფრუტი. ის მარად მწვანე ხეა. ნაყოფს ბტევნისებურს ისხამს. ნაყოფი დიდია, რამდენიმე კილოს იწონის.

10.

ახლა თქვენ ხედავთ, რომ გემრიელი ექიმი ყოფილა გრეიფრუტი. რადგან ის საჭმელად გემრიელია და ბევრ ავადმყოფობას არჩენს, მე მას გემრიელი ექიმი ვუწოდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ქვარიანი

პაპარა ცირას

რა გოგოა, რა გოგო!
სუფთა, მარდი, პრიალა,
ჯარასავით ტრიალებს,
მეოცხალია ცქრიალა!

—

ღამით ადრე იძინებს,
დგება სისხამ დილითა,
სძულს ზოგიერთ ბავშვივით
გაბრუება ძილითა.

—

სუფთად იცვამს, სუფთაა
გოგო ქუჩუჩთმოსანი;
არ გეგონოთ უბრალო,
გახლავთ ფრიადოსანი.

ერთი ზნე სჭირს გოგონას,
განა დასაწუნია—
სძულს ზარმაცი ბავშვები,
სძაგს ბავშვები წუნია!

—

ზეიმის დროს ქუჩებში
ბავშვთა მეთაურია;
მიდის, წითლად ფრიალებს
მისი საყელურია.

—

რა გოგოა რა, გოგო!
სუფთა, მარდი, პრიალა,
ჯარასავით ტრიალებს,
მეოცხალია ცქრიალა!

დაწერილი ვალტერ დისნეის სტუდიის მიერ

იყო და არა იყო რა, იყო ამ ქვეყნად სამი გოჭი, სამი ძმა. ყველა თანატოლი, ყველა თანაბარი. კუდებიც ერთნაირი ჰქონდათ, ძალიან სასაცილო კუდები!

სახელებიც რომ ემსგავსებოდა! ერთს ერქვა ნიფნიფი, მეორეს—ნუფნუფი, მესამეს კი ნაფნაფი. ცხოვრობდნენ ძმები ტყეში არხეინად, მწვანე მოლზე კოტრიალებდნენ, ნებივრობდნენ მზეზე და რკოთი იკვებებოდნენ. ასე გაირბინა ზაფხულმა.

დადგა შემოდგომა.

მზე ისე აღარ ათბობდა, როგორც წინათ, რუხი ღრუბლები ჩამოწვენ გაყვითლებულ ტყეში გუბეები დიდხანს აღარ შრებოდა.

ერთხელ, დილაადრიანად, მიმართა ნაფნაფმა თავის ძმებს:

– დროა ვიზრუნოთ ზამთრისათვის! მე სიცივისაგან მაცახცახებს. ადვილად შეიძლება გავცივდეთ. რაც გახდეს და გახდეს, მოდი, ავიშენოთ სამოთახიანი სახლი და ერთად, ერთ თბილ ჭერქვეშ ვიცხოვროთ.

მაგრამ ნაფხაფის ძმებს მუშაობა არ უყვარდათ.

მიწის თხრასა და ქვების ზიდვას იმათ ამჯობინეს უკანასკნელი თბილი დღეები თამაშსა და ხტუნაობაში გაეტარებინათ.

— ზამთრამდის ჯერ მორია! ჯერ კიდევ მოვასწრებთ სეირნობას, — თქვა ნუფნუფმა და ჩაწვა ტლაპოში.

— განა მე კი ვერ ავიშენებ სახლს! — დაუმატა ნიფნიფმა.

— როგორც გენებოთ! მე ცალკე საკუთრად ჩემთვის დავიდგამ სახლს, მე თქვენ აღარ მოგიცდით, — უპასუხა ნაფნაფმა.

სიცივე თანდათან მატულობდა, მაგრამ არც ნიფნიფს, არც ნუფნუფს არ ეჩქარებოდათ.

იმათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ საჭიროა მუშაობა. არხეინად თამაშობდნენ, გოჭების შესაფერისად ერთობოდნენ და კოტრიალებდნენ და მხიარულ სიმღერებს ღრუტუნებდნენ.

— დღეს კიდევ ვისეირნოთ, ხვალ კი დილიდანვე შეუდგეთ მუშაობას, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ძმები.

ეს „ხვალ“ არ ილეოდა. მეორე დღესაც ისევ ის მეორდებოდა.

მხოლოდ მაშინ მოვიდნენ ძმები გონს, როდესაც ყინვები დაიწყო, და შეუდგნენ მუშაობას.

ნიფნიფმა გადაწყვიტა, რომ ჩალის სახლი ყველაზე იოლია და ასაშენებლად უფრო ადვილი, არავის არ შეეკითხა, შეუდგა მუშაობას, და საღამოსათვის სახლი მზად იყო.

ძლიერ კმაყოფილი დარჩა თავისი ნამუშევრით ნიფნიფი. როდესაც სახურავს დაადო უკანასკნელი ღერო ჩალა, სიმღერაც კი შემოსძახა:

ნუთუ ვინმე დამძრახავს,
დამძრახავს, დამძრახავს,
უკეთეს სახლს სად ნახავს,
სად ნახავს, სად ნახავს!

ამ სიმღერით გასწია ნიფნიფმა ნუფნუფისაკენ. ნუფნუფიც იქვე, იმის მახლობლად სახლს აშენებდა.

ისიც ეშურებოდა მალე მოეთავებინა ეს მოსაწყენი და აბეზარი საქმე.

იმანაც თავის ძმასავით ჯერ ჩალის სახლის აშენება განიზრახა, მაგრამ მერე გადაიფიქრა; ვაი თუ ზამთარში ამისთანა სახლში ეციოსო.

სახლი უფრო მკვიდრი და თბილი იქნება, თუ წკნელით მოწნულს გავაკეთებო.

ასეც მოიქცა. ჩაარჭო სარები, შემოავლო წკნელი, სახურავზე ფოთლები ბლომად დააყარა და საღამოსათვის მოწნული კარავი მზად ჰქონდა.

კმაყოფილმა ნუფნუფმა რამდენიმეჯერ შემოურბინა თავის შენობას და სიმღერა შემოსძახა:

ახ, რა კარგი სახლი მაქვს,
სახლი მაქვს, სახლი აქვს,
ან თოვლი და ან წვიმა
რას მიზამს, რას მიზამს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის-ის იყო სიმღერა დაასრულა, რომ ბუჩქებიდან გამოხტა ნიფნიფი.

— ყოჩაღ! შენი სახლიც მზად ყოფილა, მაშ ტყუილად არ გვითქვამს ნაფნაფისათვის, რომ ჩვენც მოვერეოდით ამ საქმეს. ახლა ორივენი ვართ და შეგვიძლია რასაც კი მოვისურვებთ ის ვაკეთოთ.

— იცი, რას გეტყვი? წავიდეთ, ერთი თვალი გადავავლოთ, რას აკეთებს ჩვენი ძამია ნაფნაფი, — უპასუხა ნუფნუფმა.

და უზრუნველყოფილი ძმები ამ სიტყვებით ბუჩქებს ამოეფარნენ.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ნაფნაფი გართულია თავისი მშენებლობით.

ნაფნაფს მოეგროვებინა ქვები, აეზილა თიხა და დინჯად, აუჩქარებლად იშენებდა ისეთ სახლს, რომ სანდო თავსაფარი ყოფილიყო, რომ არც ქარს, არც წვიმას, არც ყინვას არ შეეწუხებინა.

მუხის მაგარი, მძიმე კარი ააბა და, რომ მგელი არ სტუმრებოდა, ზედ დიდი ბოქლომიც დაადო.

მგელი კი, რომლის არსებობა არც ნიფნიფსა და არც ნუფნუფს აზრადაც არ მოსვლიათ, ამ დროს ტყეში, ნაძვის ქვეშ იყო მხართეძოზე წამოწოლილი და ძილში კბილებს აკრაჭუნებდა.

ნიფნიფმა და ნუფნუფმა მუშაობაზე შეასწრეს თავიანთ ძმასა.

— მაგას რას აგებ? — შეჰყვირეს ერთხმად გაოცებულმა ძმებმა. — რა არის ეგ? საღორეა თუ ციხე? იქნება საომრად ემზადები? ვის გაუგონია, რომ გოჭი მაგისთანა სახლში ცხოვრობდეს! სასაცილოდ აიგდეს ძმებმა ნაფნაფი და ისე ღრუტუნებდნენ, რომ იმათი ხმა შორს მინდორში ისმოდა.

ნაფნაფიც საპასუხოდ აღრუტუნდა:

— არ ვსესხულობ ჭკესა
ჩემ ძმებივით სხვისაგან,
სახლს ვაშენებ ქვისაგან,
ქვისაგან, ქვისაგან.
მე უფრო ის მახარებს,
მახარებს, მახარებს,
ნადირი ვერ გააღებს
ამ კარებს, ამ კარებს.

— ეგ რომელ ნადირზე წაიმღერა? — შეეკითხა ნიფნიფი ნუფნუფს.

— შენ, ეი, რომელ ნადირზე მღერი? — შეეკითხა ნუფნუფი ნაფნაფსა.

— რომელზე და მგელზე, — უპასუხა ნაფნაფმა და კიდევ ერთი აგური წაუმატა.

— დახე, მგლისა ჰშინებია! — წამოიძახა ნიფნიფმა.

— ეშინია, რომ შეჭამს, — დაუმატა ნუფნუფმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმები უფრო გამხიარულდნენ.

—აბა, ვის გაუგონია აქ მგლები! — აღრუტუნდა ნიფნიფი და სალამური მიიდო ვარდისფერ დინგზე.

—არავითარი მგლები არ არსებობენ! ლაჩარია! მშიშარაა! — თქვა ნუფნუფმა და ააწყო ვიოლინო. მერე ორივემ ერთად დაუკრა და დაამღერეს:

მგელი თათსაც ვერ გვახლებს,
ვერ გვახლებს, ვერ გვახლებს,
მგელი ჩვენ რას დაგვაკლებს,
დაგვაკლებს, დაგვაკლებს!

ნაფნაფი კი არხეინად განაგრძობდა მუშაობას და ძმებს ზედაც არ შეხედა.

—წავიდეთ, ნუფნუფ! — უთხრა ნიფნიფმა.—ეს ჩვენი ტოლი აღარ არის. აბა ჩვენ მშიშარასთან რა საქმე გვაქვს!

და ორივენი წავიდნენ სასეირნოდ.

გზადაგზა მღეროდნენ, უკრავდნენ. ტყეში რომ შევიდნენ, ისე ხმაურობდნენ, რომ ნაძვის ქვეშ მძინარე მგელი გააღვიძეს.

—ეს რაღა ამბავია! — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა გაბრაზებულმა და დამშეულმა მგელმა და გაექანა იქით, საიდანაც გაისმოდა ორი სულელი, პატარა გოჭის ჭყივილი.

—აბა აქ რა უნდა მგელს? — ამბობდა ამ დროს ნიფნიფი. ამას მგლები მხოლოდ დახატული ენახა.

აი, თუ წაკწვდით ცხვირში, სეირს, უჩვენებთ, ის ვილაც მგელია! — ჩაუკრა ნუფნუფმა.

არც იმას ენახა ცოცხალი მგელი.

(დასასრული იქნება).

თარგმანი—მარიჯანის

ლევან ანანიაშვილი

ბ უ რ თ ა ო ბ ა

მინდვრად რბიან, ნავარდობენ
თამაზი და ლელო,
თამაშობენ, ბურთაობენ,
რომ წაიღონ ლელო.

ფეხი გაჰკრა ცელქმა ლელომ,
ბურთი ადის მაღლა...
ხმაურობენ, იცინიან,
არ იციან დაღლა.

და ვით კარგი მობურთალი,
დგას თამაზი კართან...
—ბიჭო, ბურთი გოლს თუ გასცდა,
შენი საქმე წახდა!

აგერ ბურთი გადმოგორდა
და შეევარდა კარში,
მოიღრუბლა თამაზიკო,—
მხიარული ბავშვი.

—შენ სულ ასე მეუბნები
და არ მითვლი გოლებს,
თამაშობა აღარ მინდა
დავუძახოთ ტოლებს...

—

შეხეთ, ოთხნივ კმაყოფილნი
ბრუნდებიან შინა,
თოლია კი ბურთით პირში
მათ მიუძღვით წინა.

ბ. ფარცხნაღელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულადი გია

იდედა კესარია და მართა მამიდა კაკალს ამტვრევდნენ სამხარეულოს წინ, პატარა გია კი ცხენს დააქროლებდა ეზოში.

— გივიკოს ენაცვალა ბებია, — ჩიფჩიფებდა კესარია, — ერთი შეხედე რა ამბავშია, მთელი დღე მაგის დასვენება არ არის.

ამ დროს გიამ სამზარეულოსაკენ გამოაქენა თავისი ბედაური. მოვარდა, გადმოხტა ცხენიდან და ოფლში გაღვრილი ჩამოჯდა, თან კაკლის ნებალოს სტაცა ხელი.

— ბიჭო, აღარ უნდა მოისვენო? — ღიმილით უთხრა მართა მამიდამ, დიდედამ კი საყვედურის კილოთი მიმართა:

— გივიკო, არა გრცხვენია? წელან რომ ხეზე ასულიყავ, შიშით კინალამ გული გამისკდა.

— რისა გეშინია, დიდედა, მერე რა იყო, ავედი და ჩამოვედი. თქვენ ყველანი მშიშარები ხართ და რა ჩემი ბრალია.

— ოჰ, შენ კი დიდი გულადი მყავხარ, აი, — გაეცინა მართა მამიდას. — ბიჭო, შენ არ იყავი, ბატებმა რომ შეგაშინეს?

— ეგ შარშან იყო, აბა ახლაც შემაშინონ, — ამაყად თქვა გივიკომ და მოახლოებულ ბატს თავისი „ცხენი“ გადაჰკრა. ბატს ვერ მისწვდა, ცხენი ქვას მოხვდა და გადატყდა. ბავშვი შეკრთა.

— ეგ რა ჰქენი, ბიჭო, ნიკო ძიამ ახლა რით უნდა იანკესოს? მერე რა კარგი ბამბუკი იყო! — წყენით უთხრა დიდედამ.

— გააჭირეს საქმე ამ ბატებმა, — თავზე ხელის გადასმით უთხრა მამიდამ გიას, — შარშან კინალამ შეგჭამეს, ახლა „ცხენი“ გაგიტეხეს. აჰა, ეს კაკალი აჭამე შენს ბედაურს, იქნებ მორჩეს.

გიას ცრემლები ერეოდა. დიდედას შეეცოდა, იმანაც მისცა რამდენიმე კაკალი და თან დაატანა:

— ბიჭო, წადი, ლალის მიხედე, ჩემ ოთახშია, დედოფალა ჰყავს ავად.

— გია წამოხტა და თვალის დახამხამებაში აირბინა კიბეზე.

— ცეცხლია, ცეცხლი! — ჩიფჩიფებდა დიდედა და თან კაკალს ამტვრევდა დანაოჭებული ხელებით. — ახლა ნიკოს რაღა ეშველება, მერე რა კარგი ბამბუკი იყო! აფსუს, აფსუს...

ამ დროს ბატები და ქათმები შემოესიენ. ერთმა მამალმა დიდედას კალთიდან გემრიელი ნებალო იგდო ნისკარტში, ჭრელ დედალს უნდა გამასპინძლე-

ბოდა, მაგრამ გაბრაზებულმა დიდედამ გიას ცხენს მოავლო ხელი და ლაზათიანად დაჰკრა. მამალი განზე გახტა და შეშინებული აყვირდა:

— რა იყო? რა იყო? რა იყო?

— ვაი, ცეცხლი ჭამე შენ, ცეცხლი!—წყევლიდა მამალს დიდედა.

* * *

ცებ გავიდა ზაფხული. გია და ლალი მშობლებმა ისევ თბილისში წაიყვანეს.

კვლავ სასწავლებელი, ამხანაგები, მასწავლებლები...

გია ლალის ეჯიბრებოდა სწავლაში, ლალი—გიას.

— აბა, დღეს რა მიიღე?—უთხრა ერთხელ ლალიმ ძმას.

— რა მივიღე!! რა მივიღე და ფრიადი. შენა?

— მე? მეც ფრიადი.

— აბა მაჩვენე. ეს რა არის? ფრიადი გამოკლებით!

— ბიჭო, დედა არ მომიკვდეს, მელანი რომ დამეწვეთა, იმიტომ დამიწერა გამოკლება, ჭუჭყიანიაო, დედა არ მომიკვდეს...

— არ ვიცი მე! ეს ფრიადი კი არ არის, საშუალოა.

ლალის ცრემლები მოერია და ფშხლუკუნით თქვა:

— ფრი-ა-დიიია...

გიამ გამოაჯავრა, მტირალა ხმით გაჭიანურებით თქვა „ფრი-ა-დიი-ااااა" და მერე მტკიცედ მიახალა.

— იჰ, არც კი რცხვენია! ტირია!

ლალიმ ცრემლები მოიწმინდა.

— გადი იქით, შენ არ იყავი, ბატებმა რომ გამოგაქციეს და დიდედამ გიშველა?!—უთხრა ლალიმ.

— არაფერიც! შენ კი ფინიამ შეგაშინა და კატასთან ველარ მიდიოდი. მშიშარა!

— შენ კი დიდი გულადი მყავხარ, აი!

— აბა არ იცი!

ერთი წუთის შემდეგ და და ძმა ტკბილად ებაასებოდნენ ერთმანეთს.

* * *

უშინ ნიშნები დაურიგეს მოწაფეებს. გიაც და ლალიც ფრიადოსნები არიან. დედამ დღეს კარგი საბავშვო წიგნები უყიდა მათ, თანაც პატეფონის ფირფიტა **„Мойдодыр"**. ათჯერ მაინც დაუკრეს ნასადილევს და ზოგი ადგილი ზეპირადაც დაისწავლეს, მით უმეტეს, რომ დედამ ჩუკოვსკის **„Мойдодыр"**-იც მოუტანა მათ სათითაოდ და თან უთხრა:

— აბა, ბავშვებო, ვნახოთ, ვინ უკეთ წაიკითხავს, გადამითარგმნის და მერე თავისი სიტყვებით მიამბობს. რაც ვერ გაიგოთ, მკითხეთ ხოლმე, ზეგ კი შევამოწმებ, რომელს უკეთ გეცოდინებათ.

— კარგი, კარგი, — სიამოვნებით დაეთანხმნენ დედას.

დალამდა. უკვე ძილის დროა, გია და ლალი კი მისჯდომიან მაგიდას და გატაცებულნი კითხულობენ „Мойдодыр“-ს. გია ხანდახან დაკეცავს წიგნს, ფურცლებს მინაბავს და გუნებაში ზეპირად ამბობს ზოგიერთ ადგილს. როდესაც გადაავიწყდება ესა თუ ის სტრიქონი, ან სიტყვა, გადაშლის წიგნს და ცალი თვალით ჩაიხედავს შიგ.

— გეყოფათ, ბავშვებო; ლალი, ჩაიდანი დადგი, ჩაი დალიეთ და დაიძინეთ, — უთხრა მათ დედამ.

ონკანი დერეფანში იყო, კიბის თავზე, სადაც ელექტრობა არ ჰქონდათ ჯერ გაყვანილი.

— გია, გამომყევი, ბიჭო, — შეეხვეწა ძმას ლალი, რომელსაც ბნელ დერეფანში გავლა ეშინოდა.

— უჰ, მშიშარა, მშიშარა! მაგოდენა გოგო ხარ და რისა გეშინია?!

— ე, ბიჭო, წამომყევი, რა იქნება, რა!

— კარგი, კარგი, წავიდეთ, — თქვა გიამ და ეშმაკურად გაიღიმა.

გავიდნენ დერეფანში. ლალიმ ონკანი მოუშვა და ჩაიდანს ავსებდა. ამ დროს გიამ მიაყვირა:

— დათვი, დათვი კიბეზე!

ამ სიტყვებზე ლალიმ დაიწივლა, დააგდო ჩაიდანი და ოთახში შევარდა. მის წივილზე გიას ისე შეეშინდა, რომ „ვაი დედა“ წამოიძახა და ფშხლუკუნით ძლივს შებობღდა ოთახში.

განის ოთახიდან გამოვარდა შეშფოთებული დედა.

— რა იყო, რა მოგივიდათ? — ეკითხებოდა ბავშვებს.

— დედა, გიამ შემაშინა, დათვია კიბეზეო, — ცრემლებისაგან გაბრწყინვებული თვალებით ამბობდა ლალი.

— შენ რალა მოგივიდა, ბიჭო?

— ლალიმ ისე დაიწივლა, დედა, რომ...

დედამ გადაიხარხარა.

— ბიჭო, სხვას აშინებდი და შენ თვითონ დაფრთხი? უჰ, რა გულადი ყოფილხარ!

ამ დღიდან შეარქვეს პატარა ბიჭიკოს „გულადი გია“.

ვახტ. პეტრიაშვილი

ზ ა მ თ ა რ ი

დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა,
გადიბარდნა არემარე,
მთებს ნისლები მოჰხვევია,
დათოვლილა ყველა მხარე.
გაკირჩხლულა მთა, მინდორი,
დაჰფარფატებს ყვავი მუხას,
შაშვი ჯაგში განაბულა,
სიცივისგან ძლივსლა სუნთქავს.
ნაკადულიც მირაკრაკებს,
გადაურბენს კლდეებს, შამბნარს,
თითქოს ზამთარს ემუქრება,
ზედ ყინულის იცვამს ჯავშანს.
თითქოს რისხვა უდუღს გულში,
მიჩუხჩუხებს, მირბის თავქვე,
კლდე-ბორეებში ჩაკარგული
გულმკერდიდან ბოლმას აფრქვევს.
დაგვიზამთრდა, თოვლი მოდის,
ქარი ქრის და სუსხავს, ცივა,..
როგორც თეთრი პეპელები,
ფანტელები დაბლა ცვივა.

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ირჩია ძაღლმა

(ზღაპარი)

ერთ უდაბურ ტყეში მარტოდმარტო ცხოვრობდა ძაღლი. არ ჰყავდა მას არც მეგობარი, არც მფარველი, და გადაწყვიტა ვინმეს მიჰკედლებოდა. არ იცოდა მხოლოდ ვინ აერჩია. ერთ დღეს გამოვიდა თავისი ბუნაგიდან და გაუდგა ტყის ბილიკს. ტყე შრიალებდა, ხეების ფოთლები ირხეოდნენ, პრიალებდნენ მზის შუქზე და ძირს მწვანე რბილ ხავსის ხალზე ოქროსფერ ბილიკებს ხატავდნენ. ხეების ტოტებში დახტოდნენ და გალობდნენ ფრინველები... რა კარგი იყო აქ, რა საუცხოვო იყო შრიალა ტყე, მაგრამ ძაღლს ხომ მოჰბეზრდა მარტოობა, მას ხომ აღარ შეეძლო მარტო ცხოვრება, და გაბედულად მიდიოდა ტყის ბილიკზე.

წინ ტურა შემოეყარა. ერთმანეთს სალამი მისცეს, და ძაღლი თან გაჰყვა. გზაზე მგლის კვალი დაინახეს.

— აჰ, ხედავ? კვალი! — დაიძახა ტურამ.

— ვისი კვალია? — იკითხა ძაღლმა.

— ოჰ, ეს ისეთი საშინელი მხეცისაა, რომ, თუ შეგვხვდა, ორივეს მოგვერევა და გაგვგუდავს, — თქვა შეშინებულმა ტურამ. — მგლის კვალია.

— მე წავალ მგელთან, — თქვა ძაღლმა, მიატოვა ტურა, გაჰყვა კვალს და მივიდა მგელთან.

— ვინა ხარ და რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა მგელმა.

— მე ძაღლი ვარ. მომბეზრდა მარტო უსარგებლოდ ცხოვრება. შენ ძლიერი მხეცი ხარ, შემიკედლე. ერთად ვიცხოვროთ. სამაგიეროდ გემსახურები.

— ჩემთვის საჭირო კი არ ხარ, მაგრამ კარგი, მემსახურე. ახლავე გამომყევ სანადიროდ და რაც საუკეთესო ნანადირევი იშოვნო, მე მომართვი, — უთხრა მგელმა და გაუდგნენ გზას.

გზაზე დათვის კვალი დაინახეს.

— აჰ, შეხედე, კვალი! — დაიყვირა მგელმა,

— ვისი კვალია? — იკითხა ძაღლმა.

— ოჰ, ეს საშინელი მხეცისაა, ისეთი ლონიერის, რომ ერთი თათის მოქნევით ორივეს მოგვკლავს! — თქვა შეშინებულმა მგელმა. — დათვის კვალია.

— მე წავალ დათვთან, — თქვა ძაღლმა, მიატოვა მგელი, გაჰყვა კვალს და მივიდა დათვთან.

— ვინა ხარ და რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა დათვმა.

— მე ძაღლი ვარ. მომბეზრდა მარტო უსარგებლოდ ცხოვრება. შენ ძალიან ლონიერი მხეცი ხარ. შემიკედლე, ვიცხოვროთ ერთად. სამაგიეროდ გემსახურები.

— ჩემთვის საჭირო კი არა ხარ, მაგრამ კარგი, მემსახურე. სანადიროდ მივდივარ, გამომყევი. გახსოვდეს, რაც ნანადირევი იშოვნო, ყველა მე მომართვი. ჯერ მე უნდა გავძღე, და თუ დარჩება, შეგიძლია შენც ჭამო.

ძაღლი გაჰყვა დათვს.

დათვი უცებ შეჩერდა და ბილიკს დააცქერდა:

— ოჰ, შეხედე, აქაც მოსულა! იმის კვალია.

— ვისი კვალია? — იკითხა ძაღლმა.

— ადამიანისა! — წარმოთქვა შეშინებულმა დათვმა.

თბილისი

— ადამიანისა? ვინ არის ადამიანი? შენზე ძლიერი მხეცია!

— მხეცი?! არა, ადამიანი მხეცი არ არის. უშნო, უკუდო, ორფეხა, ტიტველა არსებაა. მე შემიძლია ერთი თათის დაკვრით სული გავაფრთხობინო, არც ყბებში და არც თათებში ჩემისთანა ძალა არა აქვს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ისეთი ჭკვიანია, რომ ჩვენ, მხეცები, ყველანი ვიმალებით იმის შიშით. თვითონ ლომიც კი გარბის, ეშინია მასთან შეტაკება...

— მე წავალ ადამიანთან, — თქვა ძაღლმა, მიატოვა დათვი, გაჰყვა კვალს და მივიდა კაცთან.

— ვინა ხარ და რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა კაცმა.

— მე ძაღლი ვარ. მომბეზრდა მარტო ტყეში უსარგებლოდ ცხოვრება. შენ ყველაზე უფრო ჭკვიანი ხარ. შემიკედლე და გემსახურები.

კაცმა შეხედა ძაღლს თვალებში, გაიცინა და უთხრა:

— კარგი, შეგიკედლებ. წაგიყვან ჩემ ფაცხაში და ჩემთან გაცხოვრებ. — თავზე ხელი გადაუსვა და გასწიეს ერთად. ბილიკმა ისინი დიდი მდინარის ნაპირას გაიყვანა. მდინარის პირას შემაღლებულზე იდგა ისლით დაბურული დაწნული ფაცხა, ფაცხიდან კი მათკენ მორბოდნენ პატარა ტიტველა კაცუნები.

— ესენი ჩემი შვილებია, — უთხრა კაცმა ძაღლს, — გთხოვ შეიყვარო ისინი.

ბავშვები შემოეხვივნენ მამას კისერზე, კაცმა აიყვანა ისინი ხელში და სიცილით ეუბნებოდა:

— აი, ბავშვებო, მე მოგიყვანეთ ძაღლი, ჩვენი ერთგული მოსამსახურე და მოამაგე. მოეფერეთ მას, აჭამეთ, არ აწყენინოთ.

— ჩვენ მოვეფერებით! — ყვიროდნენ პატარები, — ჩვენ შევიყვარებთ ძაღლს.

კაცი დაჯდა ბავშვებთან ერთად ფაცხის წინ, ხის ქვეშ. შავთმიანმა, შავთვალა ქალმა, რომელსაც დათვის ტყავის კაბა ეცვა, გამოუტანა მათ ჯამებით საჭმელი. ყველას თითო ჯამი დაუდგა, ერთიც სავსე დადგა ძაღლის წინ.

— ჭამე! — უთხრა კაცმა ალერსიანად.

— შენ ჭკვიანი და კეთილიც ყოფილხარ; მე დაგიცავ შენ შვილებს მტრისაგან... მე შეგიყვარებთ თქვენ ყველას და არსად არ წავალ თქვენგან, — წარმოთქვა ძაღლმა, სიხარულით კუდი აათამაშა და სამუდამოდ დარჩა კაცთან.



ნუნუ თარხნიშვილი

ნაძვის ხე

შეხეთ, მწვანე ნაძვის ხე
ჩვენთან სტუმრად მოსულა
და ჩვენ გასახარებლად
საგანგებოდ მორთულა.

ჰშვენის თოვლი ტოტებზე,
ციმციმებენ მძივები,
ათასფერად ელავენ
ელნათურას სხივები.

ამ ტოტს ვაშლი ჰკიდია,
იმ ტოტს ხილის კალათა,
აგერ იქით ყურაქვიტა
იყურება მხდალადა.

მალე წრეში ჩავებათ
გია, ლელი, სანათა,
გიული და მარინე,
არ ჩამორჩეთ ამათა.

დავუაროთ ფერხული
ცეკვით, მღერით, თამაშით,
გავაყრუოთ კედლები
საზეიმო განგაშით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით შამათავა

ხალხის საყვარელი პოეტი



სამოცი წელი შესრულდა დიდი რუსი პოეტი ნეკრასოვის გარდაცვალებიდან. იგი იყო ხალხის საყვარელი პოეტი, მაშინდელი საზოგადოების დაბალი ფენების გულის მესაიდუმლე. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ხალხი სიყვარულით იგონებს ამ დიდ პოეტს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნეკრასოვი დაიბადა 1821 წ. 4 დეკემბერს დაბა იუზვინაში, ყოფილ კამენეც–პოდოლსკის გუბერნიაში. ის იყო აზნაურის შვილი, რომელიც მალე გაემიჯნა საკუთარ წრეს. ბავშვობიდანვე ხედავდა, თუ როგორ შევიწროებას განიცდიდა გლეხობა მემამულეებისა და ჩინოვნიკებისაგან. 1832 წელს ნ. ნეკრასოვი შეიყვანეს იაროსლავის გიმნაზიაში, მაგრამ მეხუთე კლასიდან გამორიცხეს, როგორც მაშინდელი ბიუროკრატიული სკოლისათვის შეუფერებელი მოწაფე.

1838 წელს მამამ ნეკრასოვი პეტერბურგის სამხედრო სკოლაში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ რადგან მას არ აინტერესებდა სამხედრო პირად გახდომა, ის შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. შვილის ჯიუტობამ გააჯავრა მკაცრი მამა და შეუწყვიტა მას ნივთიერი დახმარების მიწოდება. ნეკრასოვი იძულებული შეიქნა თავისი შრომით ერჩინა თავი, ის დაუახლოვდა მაშინდელი პეტერბურგის ღარიბ ფენებს და მალე დაანება თავი უნივერსიტეტს.

1840 წელს ნეკრასოვმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი წიგნი და მალე მეტად სახელგანთქმული პოეტი გახდა.

მისი მკითხველები იყვნენ ქალაქის ღარიბი ფენები და გლეხობა, რომელთა ცხოვრებას აგვიწერდა პოეტი თავის ლექსებსა და პოემებში. ამიტომ უყვარდა ნეკრასოვი ამხ. ლ ე ნ ი ნ ს და ძლიერ აფასებდა მას.

ნეკრასოვი თავის ლექსებსა და პოემებში აგვიწერს, თუ როგორ იტანჯებოდა მაშინდელი ხალხი ბატონყმურ და თვითმპყრობელურ რუსეთში. მას მეტად ბევრი მკითხველი და დამფასებელი ჰყავდა. 1878 წელს, როცა პოეტი გარდაიცვალა, დასაფლავებაზე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა რუსმა მწერალმა თედორე დოსტოევსკიმ და შეადარა ნეკრასოვი დიდ რუს პოეტს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პ უ შ კ ი ნ ს. ამ დროს საზოგადოებიდან გაისმა ხმა: ნეკრასოვი პუშკინზე უფრო მაღლა დგასო. აქედან ჩანს, თუ როგორ აფასებდა საზოგადოება ნეკრასოვს. იგი მეტად საყვარელი იყო მშრომელი ფენებისათვის.

ნეკრასოვი ყველა თავის თხზულებაში აგვიწერს ქალაქის დაბალი ფენებისა და გლეხობის მდგომარეობას. ამ მხრით აღსანიშნავია ლექსები: „დავიწყებული სოფელი", „ფიქრები საპარადო შესავლის წინ", „რკინის გზა", „თავისუფლება" და სხვა, აგრეთვე პოემები: „ყინვა წითელცხვირა" „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" და სხვა.

ამ ლექსებსა და პოემებში პოეტი გვიხატავს მემამულეებისა და თვითმპყრობელური მთავრობის ჩინოვნიკების მიერ დაბეჩავებულითა მდგომარეობას, აი როგორ მიმართავს ის მდინარე ვოლგას:

„ო" ვოლგავ! ვოლგავ! მრავალწყლიან
გაზაფხულისას
ისე არ ავსებ ნიაღვრით შენ ველს და
ყანასა,
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის
გულისა
ავსებულია წამებული ჩვენი ქვეყანა".

მართალია პოეტი, მაშინ მძიმე და აუტანელი იყო ცხოვრება რუსეთში, მწუხარებით იყო ავსებული ხალხის გული, მეფის მათრახისა და ჩექმის ქვეშ გმინავდა მშრომელი ხალხი, და ეს ყოველივე მშვენივრად დაგვიხატა პოეტმა თავის შემოქმედებაში.

ამასთან ერთად ნეკრასოვი იყო დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნ. „სოვრემენნიკი", რომელშიაც მონაწილეობდნენ გამოჩენილი რუსი მწერლები: გრიგოროვიჩი, ტურგენევი, ლევ ტოლსტოი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ბელინსკი და სხვა.

ნ. ნეკრასოვი თარგმნილია მრავალ ენაზე, თარგმნილია მისი ბევრი ლექსი და პოემა ქართულადაც. პოეტი მუდამ ეტრფოდა თავისუფლებას, უყვარდა ხალხი, ამიტომ მას ხალხის სამსახური მიაჩნდა პოეტის უმაღლეს დანიშნულებად ის ერთ-ერთ თავის ლექსში ამბობს:

„თავისუფლება, ძმობა, ერთობა
გიყვარდეს მუდამ, შესწირე თავი
იმათ სამსახურს და ერთგულებას,—
ვინ ჰპოებს უფრო ბრწყინვალე
გვირგვინს,
ან უფრო ლამაზ დანიშნულებას!"

დღეს ბედნიერი სოციალიზმის ქვეყნის მშრომელი მასები ღირსეულად აფასებენ და სწავლობენ დიდი რუსი პოეტის მდიდარ მხატვრულ მემკვიდრეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველისადმი

ბალხის გულებში სცოცხლობდი და მარად იცოცხლებ,
შენს დიად სახელს უკვდავების შუქი ჰფენია,
უმღერე ძმობას, სიყვარულსა და სიმამაცეს,
გვათბობს და გვალხენს მოგიზგიზე შენი გენია.

— : —

აღტაცებული მე ვივსები სიამის გრძნობით
და უმალ გულიც სიხარულით ზღვისებრ ღელდება,
როდესაც ხშირად შენი წიგნის ოქროს სტროფები,
დიდო მგოსანო, ჩვენს წინაშე ამეტყველდება.

— : —

დიდხანს მდუმარე, მოხიბლული, გატაცებული,
ოცნების გემით გავსცილდები ქვეყნის ნაპირებს,
შორით ვუცქერი ცათ აზიდულ ქაჯეთის ციხეს
და დარეჯანის დასახსნელად მიმავალ გმირებს.

— : —

ნეტავ შეგეძლოს გადმოხედო სამშობლო მხარეს,
სადაც ამჟამად სუფევს შვება და ნეტარება,
სადაც მიდამოს გაზაფხულის ელფერი აძევს,
სადაც გაისმის ბრძენ ბელადის ქება-დიდება!

მე-10 კლ. მოწ. ვანო **კირაკოზოვი**

ნაძვის ხეს

ნაძვის ხეო, საყვარელო,
იცი, როგორ მოგელოდი?
ამდენ ხანს რომ არ მოგრთევი,
ალბათ, მიტომ მემდუროდი.

ეხლა შეხე შენ ტოტებსა,
რა ამშვენებს თეთრი ფერი,
ათასგვარი სათამაშო,
ზედ სანთლები მრავალფერი.

დღეს საამური ცხოვრებაში
მშრომელების შვილების ხარ,
ძია სტალინს ვენაცვალე,
სამუდამოდ რომ ჩვენი ხარ.

18 სკ. II კლ. ფრიადოსანი მოწ. **მედეია კანდელაკი**

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიადოსნები

1. სოლოლაშვილი ნინა (ტფ. მე-36 საშ. სკ. II კლ. მოწ.), 2. მენაღარაშვილი (ტფ. მე-25 საშ. სკ III კლ. მოწ.), 3. ბარისაშვილი ანდია (ტფ. 21 საშ. სკ. III კლ. მოწ.), 4. მუსხელიშვილი დათუნა (ტფ. 18 საშ. სკ II კლ. მოწ.), 5. ხუნდაძე ნონო (ტფ. 16 საშ. სკ. III კლ. მოწ.), 6. კანდელაკი ზედია (ტფ. 18 საშ. სკ. II კლ. მოწ.), 7. მაჭავარიანი ზენიკო (ტფ. 27 საშ. სკ. III კლ. მოწ.), 8. გოსაძე ო. (ტფ. 2 საშ. სკ. III კლ. მოწ.), 9. ჭელიძე ნათელა (ტფ. 7 საშ. სკ. II კლ. მოწ.), 10. თვაური ნათელა (ტფ. 20 საშ. სკ. II კლ. მოწ.).